

საქართველო
პრინციპალი

მეცემსი

1883-1886.

169 F

— «მეცემსი» ღამეტებით გამოდის თვეში ხუთჯერ. ყოველი თვისათს. ოცს ზ ოც და ათ რიცხვებში —

ეხლანდელი დროის საოცარი მოვლინება.

ხარკოვის მღვდელთ-მთავარმა, შესანიშნავმა მოქალაქემ, ამჟროსიმ ახალ-წელიწადს წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მამენელთა ყურადღება მიექცია ეხლანდელი დროის საოცარი მოვლინებათაზედა. სხვათა შორის, მწყემსთ-მთავარმა მიექცია ყურადღება ერთ განსაკუთრებით ეხლანდელი დროის გასაოცარი მოვლინებაზე ეს არის მდიდრული ზ ბატონური ცხოვრების მოყვარება. ამასზე გვინდა ჩვენც ამ სტატიაში გამოვსთქვათ ორიოდ სიტყვა. ჭეშმარიტად შესანიშნავი და გასაოცარი ცხოვრება დაკვიდგა. დიდ და პატარაში, ნასწაველ და უსწავლელში და ყოველ წოდების ხალხში დაითესა რაღაცა საოცარი სიხარბე. ფულის მოყვარება და გაუმადლობა. წინეთ რომ ასი მანეთით კმაყოფილდებოდა კაცი, ის დღეს ხუთასი მანეთით კმაყოფილი არ არის. წინეთ რომ უბრალო ქოხში იდგა, მჭადსა და ლობიოზე დიდი კმაყოფილი იყო, დღეს სასახლეში სდგას, ათას მანეთს ფულს იღებს და კიდევ ვერ გამაძლარა და ფულის მომატებას ითხოვს. მართი ტორი ქალი და კაცი ორას მანეთს თვეში მარტო სასმელ-საჭმელზე არ კმარობენ. ნიდაგ იძახიან, ფული, ფული მოგვიმატეთ. არ იფიქრობო, რომ ამას იძახოდენ გაჭირვებისა გამო; არა. შულები ბანკშიაც რომ ბევრი ჰქონდესთ, მაინც დღე და ღამე იმაზე ფიქრობენ, რომ მათ საიდანმე მოუმატონ ფული და ფულის გაუმადლობა დაუკმაყოფილონ...

ბევრთაგან, რომ მიზეზი ამ სამწუხარო მოვლინებისა თვითონ დროებაშივეაო; დროებამ მოიტანა ეს წამეტანი მოთხოვნა; ჩვენი ფული დღეს არა ღირს იმდენად, რამდენათაც ღირდა წინეთ და ყვე-

ლაფერი, რაც წინეთ იაფათ იყიდებოდა, დღეს ძვირათ იყიდებო. ზოგიერთი ფულის ხარბი კაცები მართლამისთანა მოსაზრებით იმართლებენ თავს და ამ სამწუხარო მოვლინის მიზეზს მიაწერენ სულ სხვა მიზეზს და არა თავიანთ-თავს. არა, ბატონებო. მიზეზი ამისთანა გაუმადლობა და ფულის სიხარბისა იფარება ჩვეს გადაპრანჭულ, მედიდურ, უხეირო, სულელურ და ზარმაც ცხოვრებაში... ვერ მიმხედარვართ კიდევ, რომ კაცის დანიშნულება არის შრომა; ვერ მიმხედარვართ და ვერ მოგვიჩვენებია თავი დამ ავიმორათ სულელური და უბრალო ხარჯი, რომელიც ცხოვრებას გვიშხამავს და სიცოცხლეს გვიმწარებს; ვერ მიმხედარვართ კიდევ ზოგიერთები, რომ ბედნიერი ცხოვრება ფულით და წამეტანი ჯამაგირით არ მოიპოვება..

მაგრამ, სამწუხაროდ, ეხლანდელ ჩვენ განათლებულ დროში ყველაფერი გარეგნულად არის მართლული, მარტო გარეგანზე მიქცეული ყურადღება. თან და-თან მატულობს სურვილი მედიდური და ფუფუნებითი ცხოვრებისა. შოველიფერი ეხლანდელი დროისა არის გარეგანი, ხორციელებრივი, ამისათვის თან მოსდევს მას მხოლოდ სხეულის ოაკმაყოფილების სურვილი. ეს არის ცხადი ნიშანი ხალხში სულიერი ძალის, მხნეობის, შრომის მოყვარების, ზომიერების, მოთმინების და მამაცობის დამდბლებისა და დასუსტებისა. ჭეშმარიტად ეს მოვლინა საშიშარია და რიგია მამულის შეიღონი დაფიქრდენ და მიხედნენ, რომ მარტო ერთი ფულითა და ჯამაგირის მომატებით საქმე არ გაკეთდება!..

ჩვენი სიტყვები, მართალია, ბევრს არ მოეწონება, მაგრამ რა გაეწყობა! დიდი ხნიდამ შენიშნულია, რომ რიგიან მამულის შეიღებს, გმირებს, შესანიშნავ შრომის მოყვარეთა და ჭეშმარიტ პატრიო-

ბ. 5—ის

პედაგოგიურ მოსაზრებათა გამო. *)

დიდი სიფრთხილე სჭირს ეხლანდელ დროში კაცს, რომ არა თუ დიდ და ვრცელ საგანზე ჩაშთავდოს საუბარი და წარმოასტქვას თავის აზრი, არამედ საგნის მცირე მხარეზედაც. რასთვი? იმისთვის, რომ ზოგიერთ პირთ. ოცნებით გატაცებულთ, ორიოდ წარმოასტქმული მოსაზრება საგნის მხარეზე მთელ საგნის ვრცლად განხილვად. უკანასკნელ სიტყვად იმ საგანზე მოეჩვენებათ. სწორეთ ესრე მოჟუიდა ავტორს «პედაგოგიურ მოსაზრებათა»—ბ. 5—ეს.

საქმე იმასში მდგომარეობს, რომ 1884 წ—ში «მწყემსის» მე-22 ნომერში იყო დაბეჭდილი შოკლე წერილი «მართული ენის სწავლების შესახებ». ამ წერილის მიზანი ის იყო, რომ მკითხველების წინაშე ერთმხრივი მასალის ხმარება ზოგიერთ მასწავლებელთა მიერ მართული ენის სწავლების დროს გამოეხატა და ამის მიზეზად ჩამოესთვალეთ მართული ენის გარკვეული პროგრამის და სახელმძღვანელოთა უქონელობა საშვალ სასწავლებლებში და გამოვაცხადეთ სურვილი, რომ მოკლე ხანში შესდგეს «მართული ქრისტიანობა ან და მართული ლიტერატურის მიმოხილვა». ავტორს «პედაგოგიურ მოსაზრებათა» კი მოლანდებია, როგორც ღონკინოტს, ვითომც ჩვენ პირველი და უკანასკნელი სიტყვა წარმოვსტქვით წერილში მართული ენის პროგრამაზე. ეს გაუგებარი ავტორი სათაურს მაინც დაჰკვირებოდა ჩვენი წერილისას. სათაური იყო: «მართული ენის სწავლების შესახებ». ბთხოვთ მიაქციოთ ყურადღება ბოლო ლექსს «შესახებ». მართული ზმნა «შეგხო», რომლისგანაც წარმოებს ეს სიტყვა—შესახებ, მოასწავებს საგნის რომელიმე ნაწილის ხელის ხლებას. სახარებაში არის მოხსენებული, რომ ერთმა სწეულმა დედა-კაცმა ძრისტეს ტანთ-საცმელს შეახო ხელი და განიკურნაო. აქ რას ნიშნავს ზმნა «შეახო»? ნიშნავს, რომ ძრისტეს ტანისამოსის ერთ ნაწილს (თუნდა წინა კალთას) ხელი მოჰკიდა და არა მთელს ტანისამოსს. იქნება ბ. 5—დემ იფიქროს, რომ ლექსნი: «შეახო, შესახებ აღნიშნენ მთელი საგნის ხელის მოკიდებას და შესახებ ჩვენი წერილისა—მთელი საგნის განხილვას?! ვაი თუ ვგრე ესმის ჩვენ პედაგოგს ყოველ ზმნათა

მნიშვნელობა! საშვალ სასწავლებლების პირველ კლასებში მოსწავლეებს უხსნიან თემის ანუ სათაურის მნიშვნელობას. თემა უნდა იქმნეს განმარტებული ისრე, რომ არც მეტი და არც ნაკლე ითქვას მის შინაარსზე; მაგრამ ეს ბ. 5—დეს დაეყწვებია და ან მაშინაც არ ჰქონია კარგად წარმოდგენილი. მაშასადამე ჩვენი წერილის სათაური: «მართული ენის სწავლების შესახებ» აღნიშნავს მართული ენის სწავლაზე რამოდენიმე აზრების წარმოასტქმას და არა მართული ენის პროგრამის ვრცლად განხილვას.

უ. მ. 5—დემ პირველ გვერდზე თავის სტატისა აყვედრიდა გაზეთ «დროებას», რომ მან ჩვენ უღირს წერილს თანაუგონდა და თავის ფურცლებზე გადიბეჭდა ზოგიერთი ადგილები და აგრეთვე სტუქსავს ჩვენ ნათიც პედაგოგებს, რომ იმათ ჩვენი წერილის შესახებ ენაც არ დასძრეს; მხოლოდ იმას—ბ. 5—დეს შესტკივა გული დედა-ენის ბედ-იღბალზე. ვნახოთ ქვემოთ, თუ ამ გულის ტკივილს სხვა რამ სარჩული არ უძევს.

ბ. 5—დისაგან მოყვანილ მართულ ენის პროგრამას ხელს არ ვახლებთ, რადგანაც ეს პროგრამა, როგორც თვითონვე აღვიარებს, შედგენილია ერთი ჩვენი სასწავლებლის პედაგოგიური რჩევის მიერ და არა მისგან.

ბ. 5—დეს მოჰყავს ჩვენი წერილიდგან ის ადგილები, სადაც ვიხსენიებთ «მეფხვის-ტყაოსანს და საქართველოს ისტორიას, როგორც მასალებს მართული ენის შესასწავლად (64—65 გვ.). ჩვენი აზრი ის იყო და არის, რომ რუსთველი თავის ღრმა იდიათი და ენით, ღრმა პოეზიით სწორედ ძნელი გასაგებია (უ. 5—დეს გადაუკეთებია შეუძლებელია) პირველ ოთხ კლასის მოსწავლეთათვის, ეს არ მოსწონებია ბ. 5—დეს. მაშ როგორ ჰკონიათ 5—დემ, რუსთველი თავის იდიათი და ენით შესაძლო არის ყმაწვილმა შეგნებით შეითვისოს, სისხლად და ხორცად იქციოს შოთას უმაღლესი ქმნილება? მაშ თქვენის აზრით მართულ ენის პროგრამაში პირველ ოთხ კლასის მოსწავლეთათვის ადგილი უნდა მიეცეს ესრეთ შესანიშნავ მწერალთა და იმათ ნაღვაწთა, როგორიც არიან ბომერები, ღანტები, რუსთველები და სხვ. მეტი შესანიშნავი მწერალნი მაშინ შეიძლება შეიკდომოს მოსწავლემ, როდესაც ამ მწერალთა ხანა ისტორიულად, რელიგიურად და ზნეობრივად ცხადთ აქვს წარმოდგენილი. მაგრამ რუსთველის ხანა მოსწავლეს კი არა, მეონი, მასწავლებელსაც არ აქვს ცხადად გამოხატული. რასაკვირველია, როგორც ნიმუში ენის შესასწავლად

1) ივერია 1885 წ. № III, მარტი. გვ. 62—71.



პირველ ოთხ კლასის მოსწავლეთათვის გამოსადეგ მასალად შეგიძლია ჩავთვალოთ შოთას პოემის ზოგ ზოგი თავები, რომლებიც შენაკლებულად მოყვანილია თუნდ «ბუნების კარში». მონივრული პედაგოგი ბრძანებს, რომ საკითხავი მასალა ენის შესწავლის დროს უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლის აქს და გავებას, საკითხავი წიგნი არც ძრიელ ბნელი იყოს მისთვის და არც ძრიელ მსუბუქი, რომ მისი გონებითი პროგრესი არ შეადგეს. უკეთუ ბ. ნ—ძე საკითხავ წიგნებს მოსწავლეთათვის ისრე უყურებს, როგორც «მარტო» უაზრო ფრაზებს მათთვის, მაშინ შე აძლო არის, რასაკვირველია, მოსწავლეს დაენიშნოს საკითხავ წიგნად ყველა ნაირი სტატიები.

(სტენი ანუ უფსტოვცე)

შერევე ურიგოდ მოჩვენებია მ. ნ—ძეს ჩვენი მსჯელობა საქართველოს ისტორიაზე, როგორც სასწავლო მასალაზე. ამას ვერ წარმოუდგენია ისტორიის შეწავლა, როგორც კერძო საგნისა და როგორც რომელიმე ენის სასწავლო მასალისა. რასაკვირველია, რომელიმე ენის (რუსულისა, თუ ძართულისა) მასწავლებელს არ აქვს უფლება მთელი ენის შესწავლა დაამყაროს ისტორიაზე და თუნდაც ისტორიულ მოთხრობებზე, მაშინ ის ასცდება თავის პირ-და-პირ მიზანს; ის შეასწავლის თავის მოსწავლეებს ისტორიას და არა ენას. ისტორიას უნდა უცქეროდეს, თუნდ ძართული ენის მასწავლებელი როგორც ენის შესასწავლელ მასალას. მრავალი ლექსები ჩვენთა და სხვათა დაფუძნებულია ისტორიულ ფაქტებზე. ამ ფაქტებთან უსათუოდ უნდა იქნეს გაცნობილი მოსწავლე, უამისოთ ის ლექსის შინაარსს ცხადად ვერ წარმოიდგენს. მაგალითისთვის ავიღოთ თუნდ ლექსი ბ—ნი აკაკისა «სიხმარი». ამ ლექსში პოეტს ჰყავს გამოყვანილი სამნი ისტორიულნი პირნი: ნინო, მეთევან და თამარი. ამ სამ პირზე მასწავლებელმა უსათუოდ მოკლედ მაინც მოსწავლეებს უნდა გადასცეს ისტორიული ცნობები, აუხსნას მათი ვინაობა, მათი ღვაწლი საქართველოში და საზოგადოთ მათი მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისათვის. მსეთი მოკმედება მასწავლებლისა იქნება—ლექსის ისტორიული ელემენტის გამოკვლევა.

ამ ნაირი გზით უნდა იქმნეს გამოკვლეული ყველა ის ლექსები, რომლებიც თავის შინაარსით ეხება შესანიშნავ ისტორიულ პირთა, დროთა და ადგილთა.

შერევე არ მოსდის ჭკუაში გასაკვირველ პედაგოგს ჩვენი სურვილის განცხადება «ძართული

ქრისტომატიის და ლიტერატურის მიმოხილვის» შედგენაზე და მათ მეთოდაზე. პირველად ამ ადგილების შესახებ იმას არ მოსწონებია ჩვენდგან ნახმარი ლექსი «ერთი» და დაცინვით გვეუბნება: «ორი რომ შესდგეს, იმის წინააღმდეგ რას იტყვიოთ». არასფერს! მხოლოდ ამ პედაგოგს არ გავება, რომ ერთბაშით საუკეთესო და ათასნაირი ქრისტომატიების შედგენა ჩვენში ძნელია; აგერ საუკუნე გადის და ერთი ქრისტომატიის მეტი ბ. ლ. ჩუბინოვისა არა გავგაჩნია და ისიც «უფალმან უწყის, როგორია». ბარდა ამისა ლექსს «ერთი» გარდა ფანტაზიისა ამ შემთხვევაში ყურადღებას არ მიაქცევდა კრიტიკაში.

არავითარი წარმოდგენა არ აქვს ბ. ნ—ძეს სინონიმზე. ის დიდი აღტაცებით რომავს სიტყვებს: «როგორ იქნება ითქვასო ან ქრისტომატია, ან საქართველოს ლიტერატურის მიმოხილვაო, როგორ იქნება ან ის, ან ესო. ბანა ეს ორი საკანი ერთი და იგივეა? ბანა შეიძლება ითქვას ართმეტიკა მოსწავლეთ ან ალგებრაო?» ბ. ნ—ძევ, ნუ თუ ჰკონიათ თქვენ, რომ კავშირი «ან» მუდამ იხმარება ერთი და იმავე საგნის აღსანიშნავად. მწყურვალემ თავის წყურვილის დასაკმაყოფილებლად რომ მოითხოვოს ან წყალი და ან ღვინო, ნუ თუ თქვენის აზრით შეუძლებელია? ნუ თუ წყალი და ღვინო ამ შემთხვევაში ერთ დანიშნულებას არ ასრულებს? მაშ ჩვენგან თქმული ფრაზა: ან ქრისტომატია, ან ძართული ლიტერატურის მიმოხილვა ერთი ერთმანეთს სულაც არ გამოირიცხავს. რიგიანი ქრისტომატიაც გამოსადეგია ჩვენთვის ენლა და ძართული ლიტერატურის მიმოხილვაც. მს უკანასკნელი კიდევ უფრო სასარგებლო და გამოსადეგი იქნება, რადგანაც დღემდის ძართული ლიტერატურის და მის წარმომდგენელთ დირსება და ნაკლულებანება მეცნიერულად და სისტემატიურად არავის გამოუკვლევია. ხომ კარგად იცი, რომ დღემდის ჩვენი ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოები «მეფხვის-ტყალსანი» თითქმის გამოცანაა. მაშასადამე, იფიქრეო, რა ძვირფასი ხვითო იქნება ძართული ენისთვის და ლიტერატურისთვის ისეთი წიგნი, სადაც სისტემატიურად განხილული იქნება შესანიშნავი სასულიერო და საზორციელო მწერლები თავისი ღვაწლით, თავისი ნაწარმოებით. თუმც ძრიელ გასჭირდა, უქრისტომატოთ კიდევ გავსძლებთ, რადგანაც ჩვენ დღეს დღეულად გვაქვს ძართული ენის შესასწავლად ესრეთი კარგი წიგნები, როგორიც არიან: «დედა ენა, ბუნების კარი, კუნწულა, ხომლი და სხვ.

შევმოთ ჩვენი კრიტიკოსი ბრძანებს (გვ. 67):



«ქრისტომატიის საგანი სხვა არის, ლიტერატურის მიმოხილვისა სულ სხვაა». ამჟამად სკდებით. უმთავრესი საგანი ორივეთა—ერთია. აი როგორ: ქრისტომატიასაც (მაღალ კლასებისთვის) და მიმოხილვასაც ლიტერატურის ნაწარმოებთან აქვს საქმე; პირველიც და მეორეც საუკეთესო სიტყვიერ ნიმუშებთან გაცნობს, მხოლოდ ქრისტომატიაში ეს ნიმუშები უფრო ვრცლად არიან მოყვანილი, ვინემ მიმოხილვაში, ქრისტომატიაში ისრე დაწვრილებით არ არის შეფასებული, განხილული ლიტერატურის ნიმუშები, როგორც მიმოხილვაში, თუმცა სამართალი თხოულობს, ქრისტომატიის შემადგენელმაც მიმოხილოს, შეაფასოს ის ნიმუშები, რომლებიც ადგილს იჭერენ წიგნში, და თუმცა ქრისტომატიას ადგენს უმცროს კლასებისთვის, იმ შემთხვევაში ქრისტომატიის შემადგენელმა თავის წიგნში უნდა მისცეს ადგილი საუკეთესო საკითხავ სტატიებს, ლექსებს, იგავ-არაკებს და როგორც ძივი ძაფზე ასხას; სტატიების, ლექსების და სხვების დაწერაში იქონიოს სახეში გონებითი გახსნა იმ კლასების მოსწავლეთა, რომლებისთვისაც დანიშნულია. ზარდაცნობისა საზოგადოთ ყოველ ლექსს, არაკს, მოთხრობას თავისი განზრახული მიზანი უნდა ჰქონდეს. იმათ უნდა შესძინონ მოსწავლეთ ენის ფორმებიც, გრამატიკული კანონები საგნების სახელებზე, მოქმედებაზე, ლექსთა-თხზულებაზე და სხვ. და სხვ. აი ამ შემთხვევაში მოსწავლე თან გაეცნობა ლექსების, არაკების, მოთხრობების იდიას, შინაარსს და თან შეისწავლის ენას გრამატიკულად—თეორეტიკულად. აი ჩვენი **золотая середина**, რომელიც თქვენ არ მოგწონებიათ ბ—ო ნ—ძვე.


ნუ თუ ჰკონიათ ნ—ძვე, რომ ქრისტომატია უნდა იყოს მხოლოდ ლექსთა და საკითხავ სტატიათა ჯროვა? ნუ თუ ქრისტომატიის ავტორს არ უნდა ჰქონდეს სახეში განსაზღვრული მიზანი, განსაზღვრული დასკვნა, როდესაც ის თავის ქრისტომატიაში აკროვებს საკითხავ სტატიებს, ლექსებს, არაკებს და სხვ.? მაშ, თქვენის აზრით, ქრისტომატიად იწოდების ისეთი საკითხავი წიგნი, რომელშიაც უგზო-უკვლოთ, როგორც ქაშაყი თევზი კასრში, ჩალაგებულია სხვადასხვა ნაირი სტატიები! ნუ თუ ეგეთი წიგნის შემადგენელმა გულში გაიფიქროს, რომ იმან რა იმე გააკეთა! ეს ხომ ყველას შეუძლია. პინტო-მკერვალი, რომელმაც მართული ასოების გარკვევა კი იცის, აიღებს ხელში ბასრ მაკრატელს, ამოსჭრის სხვადასხვა წიგნებიდან სტატიება, ლექსებს, იგავ-არაკებს და ერთად დააბიჭოინებს. მაგაც ქრისტომა-

ტია იქნება! აი და ქრისტომატია და მისი შემადგენელი!

მე ნნ გვერდზე თავის სტატიისა ბ. ნ—ძვე გაპყვირის: «ქრისტომატია და გრამატიკა ვის გაუგონია ერთად, რომ გაიძახით: არას დროს არ უნდა დაავიწყდესო. თუ მართულს ენაზედ არა გვაქვს, რუსულად ხომ ბევრია ქრისტომატიები, გადასინჯეთ და ნახეთ, დაფიქრდით, რას ამბობთ. თორემ, თქვენ საეკლესიო გრამატიკა მოგწონთ, ივან ეს—სამოქალაქო, პეტრეს ართმეტიკა და სხვ.»

ქ. უ.

(გაგრძელება იქნება.)



სენაკის მაზრიდან.

ამას წინეთ მე მივდიოდი საჭილაოდგან სოფელს ძულაშს. ბზაზე მივადექი ერთ მდინარეს, რომელშიაც უნდა გავსულიყავი, მაგრამ ფონი არ ვიცოდი. მახლობლად დავინახე წისქვილი და გავსწიე იქით. შევედი წისქვილში და ვკითხე მეწისქვილეს, თუ სად იყო ფონი, რომ მდინარეში გავსულიყავი. მეწისქვილე გამოამყვა უკან და სანამ ფონთან მივიდლოდით, გზაზე ჩრდილოეთის მხრით, დავინახე რამდენიმე ძირი ცაცხვის და მუხის ხეებისა. ამ ხეებში შეტად შესანიშნავი იყო ერთი დიდი მუხა. მე ვსთხოვე მეწისქვილეს ამ ხეებისაკენ გაგვევლო. მეწისქვილე მაც შეასრულა ჩემი თხოვნა. მივედით ამ ხეებთან. ამ ხეებში ჩემი ყურადღება მიიქცია იმ დიდმა მუხამ. ჩემ სიცოცხლეში არ მინახავს იმოტენა ხე. ჩემდა საუბედუროთ, არაფერი მქონდა, რომ შემეტყო ამ ხის ტანის სიგრცე და სიმაღლე. ამ მუხას ტანზე ორი კუნძი აქვს გამოზმული, თითოეულ კუნძზედ ხუთ-ხუთი პატარა კუნძია კაცის თითების მზგავსად. ეს კუნძები ჯვარის სახის მზგავსად არიან დაწყობილნი. მუხის ძირში რა და რა ნივთებს არ ნახავს კაცი! აქ უპატრონოთ ჰყრია ვერცხლის და სპილენძის ფულები, თოხი, ცხენის ნალები, ნაჯახი, სატევარი, ნამგალი, დანები, ლეკური, შანდლები და წმინდა სანთელს ხომ ანგარიში არა აქვს. მუხის ტანზე შემოხვეულია აბრეშუმის ძაფები. შესობილია მასში უანგარიშო ლურსმეები, რომლებზედაც, როგორც ეტყობა, წმიდა სან-



თელი ნთებულა. ამ ხის ძირში ბევრი სხვა-და სხვა ნივთებია. მუხის მახლობლად მე შევნიშნე ორმოცამდე ქათმები და ძალიან გამიკვირდა, რადგან მახლობლად სოფლები არ არის. მეწისქვილეს ვკითხე, თუ ვის ეკუთვნოდნენ ეს ქათმები და მან აი რა მიაშო ამ მ-ხის შესახებ: «ეს ქათმები, დაიწყო მან, მლოცველებისაგან არიან შემოწირული. ამ ქათმებს გარდა აქ კიდევ ბევრი სხვა ქათმებია, მაგრამ ესეა, ალბათ, შორს არიან წასულნი. მაგათ არაფერი კაცი არ უვლის და არც არავინ საქმელს აჭმევს. ეს დიდი მუხა წმიდა ბიორგის მუხაა და ამიტომ წმიდა ბიორგი თვითონ უვლის ამ ქათმებს. მათი მოპარვა და მოტაცება არც კაცს შეუძლია და არც არაფერ ნადირს. ღამით ეს ქათმები იბუღებენ ამ ხეების ტოტებზე და დღისით თვითონ შობენ საქმელს. ამ მუხას წელიწადში ასი ქათამი მეტი შემოწირება და ყველა აქ არიან გაშვებული. ქათმებს გარდა ამ მუხას სწირავენ ცხვრებს, ღორებს, თხებს და სხ. კუნძებზე უნთებენ სანთლებს, ევეღრებიან მუხას და ამ კუნძებზე ისე ემთხვევიან ხოლმე მლოცველები, როგორც ხატს. შულებს, რაც კი ეწირება მუხას, ამგროვებს ერთი ვიღაც ხუტცილაყა, რომელსაც ხატის კაცს ეძახიან. ქათმებს და სხვა ოთხ-ფეხ ცხოველებს, რომლებიც ამ მუხას ეწირება, დაჰკვლენ ხოლმე ათ ნოემბერს, როცა წმიდა ბიორგის დღეობას დღესასწაულობენ. ამ დღეს აქ მოდის ურიცხვი ქალი და კაცი და მოაქვს შესაწირავი. ამ დღეს მუხას შემოწირება კუროები და ძროხებიც, რომელთაც ამ დღეს დაკვლენ ხოლმე და მოსულ ხალხს უმასპინძლებიან. აქ ამ დღეს ძალიან დიდ ქეიფს სწევს სალოცავად მოსული ხალხი. ამ მუხის ძირში, როგორც ამბობენ, ძველის დროიდან მარხია ჯვარი და ამიტომ ამ მუხას დიდი სასწაულები შეუძლია: ვისაც რამე დაეკარგება, ის მაშინვე ამ მუხის ძირში მოვა, მუხას შესწირავს რასმე, წმიდა ბიორგის შევედრება და ის უსათუოდ აღმოაჩენს ქურდს. მე თვითონ, განაგრძო მეწისქვილემ, მომპარეს ერთი უღელი ხარი, და, როგორც მუხას მსხვერპლი შევეწირე და წმიდა ბიორგის შევედრე, იმ ღამესვე მომიდენეს ხარები სახლში».

ბოლოს გამოვეთხოვე მეწისქვილეს და გავსწიე ჩემ გზაზე; მაგრამ სულ ამ მუხაზე ვფიქრობდი. ღამართლა, გასაოცარია, რომ ხალხი ამ მუხას მსხვერპლსა სწირავს, და როგორც მეწისქვილის სიტყვებიდამ გავიგე, ხალხი მუხას აღმერთებს და აწერს მას სხვა-და-სხვა სასწაულებს. ჩემის აზრით აქ ძველი ნაეკ-

კლესიები უნდა იყოს. როგორც მეწისქვილემ მიაშო, ამ მუხას რაც შესაწირავი შემოაწია წელიწადში, ის რომ კაცმა ფულათ აქციოს, ვგონებ 300 მანეთამდე ავიდეს წლიური შემოსაწირავი და დღეს კაცმა არ იცის, თუ ვინ სარგებლობს ამ მუხის შემოსავლით. ეს ფულები შეიძლება რამე კეთილ საქმეზე მოიხმაროს კაცმა და ან ორი-სამი წლის შემოსავლით ამ ადგილზე პატარა საჯვარის ეკლესია ააშენონ. მაშინ ხალხი ეკლესიაში ილოცავს და მუხას აღარ სცემს თაყვანს და არც გააღმერთებს მას. შეიძლება დღეს სასულიერო მთავრობამ არც კი იცის ეს და საჭიროა კია, ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ.

ილორის სკოლის მასწავლებელი ლეონტი ჰაში.



წერილი რედაქტორთან.

მ. რედაქტორო! შორჩილესად გთხოვთ ამ ჩვენს მცირე შენიშვნას ადგილი მისცეთ თქვენ პატივცემულ გაზეთში.

თუმცა კარგი ხანია ჩვენ საერო ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა სხვა-და-სხვა ცნობები მღვდლების უქმად-ყოფნის შესახებ, მათ საქმის უნაყოფობაზე და უკანონო ქცევაზე, მაგრამ თუ კარგათ გავსინჯავთ, საღის ჭკუით დაგაკვირდებით მათ მოქმედებას და გამოვიკვლევთ, მაშინ დაგროვდებით, რომ მომეტებული ნაწილი თავის მოვალეობას სინილისიანად ასრულებს და იმათი მოქმედება და მცადანობა უნაყოფოდ არ მიდის. ამის გამო არ შეიძლება კაცმა ყურადღება არ მიაქრიოს მკითხველი საზოგადოებისა ზოგიერთა იმისთანა საქმეებზე, რომლებიც ბევრს რასმეს ამბობენ გამკეთებლების სასარგებლოდ და უჩვენებენ წასაბამ თვალ-საჩინო მაგალითს ყველას, ვისაც კი სურს თავის მოვალეობა სინილისიანად აღასრულოს. აი საქმე რაში გახლავთ: ყველას მოეხსენება, რომ სოფელ რუისში არის უძველესი ეკლესია, რომელიც უწინ, ამ ოთხმოცის წლის წინეთ, მროველ-ვისკაპოსების კათედრათ ითვლებოდა. ეს ეკლესია შეუწყნარებელის ჟამთა ვითარებისა გამო თან-და-თან მიეცა უძლურებას და კინალამ სამუდამოთ გამოვეთხოვეთ ჩვენთვის სასიქადულო ერთს ღირსეულ ნაშთთაგანს, რომ ამისათვის განსაკუთრებული ყურადღება არ



მ ექცია ადგილობრივ მღვდელს-ბლალოჩინს მ. იოანე ინაევს. მს საკვირველიც არ იყო, მით უმეტეს, რომ ეს ეკკლესია, როგორც ვიცით, აღშენებულია მეექვსე საუკუნეში და შემდგომი რამეტელჯერმე მტრის ხელისაგან შემუსვრისა, იყო ბოლოს განახლებული, როგორც სხანს მართლის ცხოვრებიდამ. საქართველოს მეფის ალექსანდრესაგან, რომელიც სცხოვრობდა მეთუთნმეტე საუკუნის დამდეგს (1414—1442 წ.) და რომ ის ეკკლესია მართლა უნდა ყოფილიყოს რამდენჯერმე დაგრეული და განახლებული, ამას ცნადათ გვიმტკიცებს გარეგანი მისი შეხედულებაც. მისი მეცადინეობით და შემწეობით მოხდა ამ მშენიერის ტაძრის განახლება, არის საგანი ჩვენის კორრესპონდენციისა. მ. ინაევი გადმოყვანილ იქმნა თუ არა ამ სამის წლის წინეთ სოფ. რუისში და რა იხილა ეკკლესიის საშიშარი სიძველე, მაშინვე შეუდგა წყაროს აღმოჩენას მის განახლებისათვის; ეს წყარო იყო და არის ხალხი. მ. ინაემა გორივრულის მეცადინეობით და რჩევით მიექცია თავის სამწყსოს ყურადღება ეკკლესიისადმი, აუხსნა, თუ რა მოელოდა შემდგომი იმ ეკკლესიას, რომელშიაც მათი წინაპარი ევედრებოდა ღმერთს; ამ ნაირმა დარიგებამ, რასაკვირველია იმოქმედა: ხალხმა ერთხმად გადასწყვიტა ეკკლესიის განახლება და შემდეგ ყოველად უსამღვდელოესის არქივისკოპოსის პავლესაგან ლოცვა-კურთხევის მიღებისა შეუდგნენ საქმეს და ორი თვის განმავლობაში დააგებინეს ახალი სახურავი, გაალესინეს, საცა აკლდა შიგნით და გარეთ, შიგნითი გული შეაღებინეს თეთრად ცარცით და მოაჯირი წითელის წამლით და გააწმენდინეს ზეთით ის უძველესი და მშვენიერი კანკელი, რომლისთანაც ჩვენდა საუბედურით იშვიათადლა მოიპოვება ჩვენს ეკკლესიებში. არ შეიძლება მადლობა არ უძღვნას კაცმა ზემოთ მოხსენებულების გარდა ნინა ძოსტანტინეს ასულს მამაცოვისას, ნატალია ღავეთის ასულს მამაცოვისას და ნატალია ბაბრიელის ასულს ბანძიელისას, რომლებმაც აღმოუჩინეს ფულით შიმწეობა ამ წმიდა საქმეს: პირველმა 400 მან. და უკანაკნელით თითო მ 25 მ. შემწირველობით; ადგილობრივ პრიხეტნიკ მ. ბათიევს და აგრეთვე ვლენებს ალექსი ბურასპა-შვილს და ბიორგი ახალ-კაცს, რომლების განუწყველადი თვალ-ყურის ჰქრით და მეცადინეობით უფრო მკვიდრად და იაფად დამთავრდა ეს მძიმე საქმეც.

მადგენლებს არამც თუ ახალი იმისთანა, არა აგვიშენებია, არამედ, ჩვენი წინაპრებისაგან მოსაგონებლად დატოვებულ ნაშთებისათვისაც კი ვერ მოგივლია. ამის მიზეზი რა გახლავთ?! ის, ჩემო ბატონებო, რომ ჩვენ გამბედაობა და მეცადინეობა ცოტა არ იყოს გვაკლია. საჭიროა, ჩვენ კეთილის მაგალითით ხელმძღვანელობდეთ საზოგადო საქმის და მოვალეობის აღსრულების დროს; მაგალითიც თვალწინ არის: ვეცადოთ ყველა, რომ ვისხელოც არის, ამ ნაირად განვახლოთ ჩვენი ის ტაძრები, რომლების ეხლანდელი მდგომარეობა ტირილს მოჰკვრის კაცს.

ნიქოზელი.

ახალი ამბავი და შენიშვნები.

ჩვენ ენახეთ ერთი ლახუნდარელი გლეხი კაცის სახლში შენახული წმიდა ნაწილიანი ოდიკი, რომელიც დაბეჭდილია სახნერეში. ძველა წარწერა ამ ოდიკზე არის ძართული ხუცური ასოთი და წარწერაც მშვენიერი ასოებით არის დაბეჭდილი. მს ოდიკი დაბეჭდილია არქივისკოპოსის სოფრონიოსის კურთხევით და ნებართვით.

**

ჩვენ ჩაგვივარდა ხელში ერთი პატარა გამოკრებილი სადღესასწაულო მშვენიერი ხუცური ასოებით დაბეჭდილი. მს სადღესასწაულო დაბეჭდილია უკანასკნელი ჩვენი მეფის სოლომონ მეორის დროს რაჭის მაზრაში, ერთს პატარა სოფელ წესში. ამ დროს სტამბების გამგეთ ყოფილა ზურაბ წერეთელი, სახლთ-ხუცესი.

**

მართი მღვდელი, რომელიც წინეთ მოლათ ყოფილა, გვაცნობებს ჩვენ, რომ მას უნახავს თათრულ ენაზე დაბეჭდილი წიგნი, რომელშიაც დაწვრილებით არის აწერილი ღვთის-მშობლის ცხოვრება, იესო ძრისტეს დაბადება, მისი ქადაგება და ზეცათ ამაღლებაო.

**

ჩვენ მივიღეთ მშვენიერად გამოცემული პატარა წიგნი: საქრისტიანო პირველ-სასწავლო მოძღვრება ქმნილი ნიკოლოზ თფილელისა მიერ, გამოცემული მ.მ.



ბ. მღებროვის, ვ. ძარბელოვის და ა. მოლოდინოვისაგან. შასი წიგნისა ექვსი შაურია. გამოცემა სუფთა და სწორეთ ლამაზია. წიგნში სწავლა მოძღვრება სულ კითხვა-მიგებათ არის აწერილი. საჭიროა და სასარგებლო, რომ ეს წიგნი ყველა საეკლესიო წიგნთ საცავის კუთვნილებათ განდეს.

* *

გამოვიდა საბეჭდავიდამ პირველად გამოცემული საქართველოს საეკლესიო ისტორია და ისუილება თბილისში ბრიტუროვის წიგნის მალაზიაში და მთათისში ჭილაძისა და მურადოვის წიგნების მალაზიაში. შასი თითოეული ეკვმპლიარისა არის დანიშნული ორი აბაზი.

* *

ასე ხპირად რომ ეკლესიები იცარცევა, ამის მიზეზს ბ. სენაკის მაზრის უფროსი ხედავს იმაში, რომ მღვდლები, დიაკვნები და მედავითნენი ეკლესიებთან სენაკებში არ ყარაულობენ რიგ-რიგობით და არ აღევნებენ თვალ-ყურს და არ ტყობილობენ, რომ ეკლესიის სტაროყეები ნიადაგ ყარაულობენ ეკლესიას, თუ არა. ამიტომ მაზრის უფროსი ბ. ბებური შვილი სთხოვს იპერეთის ეპისკოპოსს, რათა მან ვალად დაუდგინოს მღვდლებს, მთავარ-დიაკვნებს და მედავითნეთა, რომ მათ რიგ-რიგობით უყარაულონ ეკლესიის სტაროყებს, რომ იგინი ლამ-ლამობით ეკლესიას არ მოშორდნენ!..

* *

მღვდელს ათანასე თოფურიაზე სამღურავით ხასევე წერილი მივიღეთ ერთი პირისაგან. ძლიერ აუგებენ მას მისთვის, რომ ლამით გარდაცვალებული ეკლესიაში არ შეასვენებინა ჭირისუფლებს და მთელი ლამე ჭირისუფლები იძულებულნი იყენენ გარეთ ყვარეულათ გარდაცვალებულისათვის. ნუ თუ ეს მართალია?

* *

წარსული წლის დეკემბრის შუა რიცხვებში ქ. შოთში გარდაიცვალა ერთი ახალ-გაზდა ქართველი მასწავლებელი მაქსიმე ძელივიძე, რომელმაც სწავლა შეასრულა თბილისის ალექსანდროვის ინსტიტუტში. ამ სასწავლებელში სწავლის დამთავრების შემდეგ ის დანიშნულ იქმნა თელავის სამოქალაქო სკოლის მასწავლებლად. თელავში ის დარჩა ერთი წელიწადი და შემდეგ გადაყვანილ იქმნა

ქარსში. ქარსში საწყალმა ვერ აიტანა იქაური ჰაერი და საბრალო იძულებული შეიქმნა სამსახური სათვის თავი დენებებინა და შინ დაბრუნებულიყო. მსახალ-გაზდა ყმაწვილო მასწავლებელი იყო ისეთი მაღალი ზნის და პატიოსნების მექონი პირი, რომლის მზგავსნი ცოტანი გეყვანან ჩვენ დღეს საქართველოში. მანსვენებული მაქსიმე ძელივიძე სადაც კი ინიშნებოდა მასწავლებლად, ყველგან მოსწავლეების სიყვარულ და პატივის ცემას იმსახურებდა. თავისი ტკბილი დარიგებით ყველგან მოწაფეები აღტაცებაში მოჰყავდა.

მასწავლებლობას გარდა საბრალო მაქსიმე ამ ბოლო დროს მონაწილეობა იღებდა ჩვენს ქართულს ლიტერატურაშიაც. ამბოლო დროს ის გულ მოდგინეთ შეუდგა ქართულ ენაზე არითმეტიკულ ტერმინების შექუშავენას, მაგრამ საცოდავს შეუბრალებელმა სიკვდილმა მალე მოუხპო სიცოცხლე.

უკანასკნელი დღეების ზოგიერთი საყურადღებო

ტელეგრაფები.

იანვრის 22.

ხმების: გარდა იმისა, რომ უწმიდესს სინოდსა კრედიტი მოუმატეს საეკლესიო სამრეკლო სკოლებისათვის, ფიქრად აქეთო, ერობასაც ვადად დასდონ მონაწილეობა მიიღოს ამ სკოლებისათვის საჭირო ხარჯშია.

სტამბოლი. ოსმალები და ბოლგარნი ერთმანეთს მოჭრიკების და შექმდეგი ძირეული პირობა დაუდვიათ: 1) მთავარი ალექსანდრე აღმოსავლეთის რუმელის გენერალ-გუბერნატორათ დაინიშნება ხუთის წლის ვადით; ამ ვადის შემდეგ შეიძლება კიდევ ხელ-მეორედ დაინიშნოს. 2) ოსმალეთს უკანვე დაუბრუნდება როდოკოპის და ყირჯის მხარების მორალაქლების სოფლები; ამის მაგიერ ოსმალეთი ბაღჯანს დას დაიჭერს. 3) ორსავე შრომინციაში მიფლობელობის დასაცეკვად, ჯარები სულთანის განკარგულების ქვეშ იქმნება. ამ ჯარების უფროსობა ჩაებარებათ ოსმალსა იფიცრებს. 4) ამ სახითვე თვით ოსმალეთის ჯარი უნდა დაეხმაროს რუმელისა და ბოლგარის, თუ საჭიროება მოითხოვს; ამ შემთხვევაში ამით სარდლათ იქმნება მთავარი ალექსანდრე. 5) ფილიპოპოლში შეიყრება ოსმალ-ბოლგართა კომისია და გაჭმინჯავს, თუ რა ცვლილება უნდა მოხდეს აღმოსავლეთის რუმე-



ლის ორგანიზაციის წესდებაში. 6) ყოველივე სხვა მუხლი ბერძენის სულ შეკრულობის უცვლელად დარჩებიან. ეს პირობები წარუდგინეს სულთანს დასამტკიცებლად, და გუშინვე უკანვე პარტის მოუვიდა ზოგჯერის ცვლილებით. მანც კი თქვა, რომ მორაგება დაუფრებელივ მოხდება. უმეტესი ნაწილი ოსმალეთის ჯარისა, რომელიც აქამდე სერბთა ბოლოვანის და აღზანის სამხედრო ვრეზზე იდგა ესლას საბერძნეთისაკენ მიემართება.

ივნისის 23

პეტერბურდი. გუშინ წარსდგა სულწაფე იმპერატორის წინაშე გამორჩენილი მოგზაური პრეკვალსკი, რომელსაც ეს არის, ესლას ებოძა გენერალ მთავრობა.

გუშინ მთავარი ჩერნოგორიის მიწვეულ იქმნა შინაურ სადილზე ანინინის სასახლეში. მთავარი საზამთრო სასახლეში ჩამოხდა. მთავარს თან მოჰყვა ჩერნოგორი — რეზიდენტი ჩერნოგორიაში არგოროპულა და სამთავროს თინანსთა დირექტორი მატინოვიჩი.

ბუნარესტი. დღეს დაიწყო მოლაპარაკება ბოლოვანისა და სერბიას შორის მშვიდობიანობის ჩამოგდებაზე.

ივნისის 24.

გამოცხადებულა მინისტროს კომიტეტის გარდაწყვეტილება. ამ გარდაწყვეტილების ძალითა აღკრძალულ იქმნა დუქნების გამართვა სახლთაგან ტაძრებისა, მონასტრებისა, ნიშებისა და სამლოცველო სახლებისა. მანძილი დუქნებსა და მათ შორის 80 ადამსე ნაკლები არ უნდა იყოს; ხოლო თუ მთავრობა ნებას დაჭრთავს სასტუმროების პატრონებს, მათ შეუძლიანთ გამართონ თავიანთი სასტუმროები იმ წესით, რომელიც მოხსენებულა 1885 წ. 14 მაისის წესთა 19 მუხ.

ლიონი მამა ჩვენი უიო მლივილი.

ღირსი შიო სირიელი იყო ქალაქ ანტიოხიიდან. ის ერთადერთი მეტევიდრე იყო მღაღარი დედ-მამისა. წ. შიომ პატრონობდგანვე გამოჩინა სჯულის და საღმრთო საგნების სიყვარული და სიუბრთვე ღმრად შეისწავლა საღმრთო წერილი. ოცის წლის შიომ გაიგო ამაჟი დიდი მოღვაწის იოანესი, რომელიც თავის მოწაფეებით ანტიოხიის ახლო უდაბნოში სცხოვრებდა, მივიდა ამ მოღვაწის სასახლად და ისე მოეწონა ბერების ცხოვრება, რომ სამუდამოდ იმითთან დარჩენა მოინდომა; მხო-

ლოდ სწუხდა. ვაი თუ დედ მამა ნებას არ დასძინებო. მომავლის მტოდნე იოანესი დაამტკიცა ისე და ცხოვრობდა თითონ იმისი დედ-მამა მიიღებენ ანგელოზებო სახეს, წავლენ მონასტრებში და ამით მისცემენ იმას ნებას. როგორც ჰსურს, ისე მოიქცეს. მართლას შიოს. დედ მამა მოხასტრებში წავიდნენ და მთელი თავიანთი ქონება იმას დაუტოვეს. შიო ეწია თავის გულის წადილს: მისცა თავისი ქონება გლახაკთ და წავიდა უდაბნოში მ. იოანესთან. ამ უდაბნოში იმან ოცი წელიწადი გაატარა მოღვაწეობაში.

ღირსმა იოანემ მიიღო ზეგარდმო განცხადება ამოქრჩია თავის მოწაფეებთან თორმეტი, წასულიყო ივერიაში და დაემყარებინა ქრისტეს სარწმუნოებაში ქართველები. სხვათა შორის. ღირსი შიოც იქმნა ამოჩენული. ივერიაში წ. წ. მამები ზედაძინის მთაზე დაბინავდნენ. აქ ამ მთაზედ. მ. იოანეს ჰქონდა ჩვერება: ყოველად წავლის მშობელი გამოცხადდა და უბრძანა გაეგზავნა თავის მოწაფეები საქართველოს სხვადასხვა გუთსებში საქადაგებლად. ყველანი წავიდნენ, მხოლოდ ღირსმა შიომ, როგორც განკრძალულის ცხოვრების მოყვარულმა, გამოსთხოვა თავის მოძღვარს უდაბნოში წასვლის ნება, მიიღო ლოცვა-გუთსება იმისგან და საქართველოს მანძილი ქათალიოზის ეკლავისაგან და დაბინავდა მტკეთის მასლობლად უდაბნოში. ერთ გამოკვებულ ადგილას. მაგრამ ღირსი შიო ნათელი იყო და მისი სიწმინდის შუქი აქამდეც გამოჰქრთა და განათა არე

ვინმე ევგერი დიდებული და განთქმული მხედარი, ერთხელ ნადირობით გართული. მივიდა უდაბნოში სადაც ღირსი შიო იყო, მოულოდნელად წადგა ქაბს და ნახა მოხუცი, ძრეულ შეკრთა. განცვიფრებულმა ევგერიმ ჰკითხა მოხუცს ვინაობა. მე, მიუგო წმინდანმა, ვინმე მწირი ვარ და აქ ვმადლობ დიერთს. ევგერიმ იგრძნო მოხუცისადმი ღრმა სიყვარული და პატროვის-ცემას; იმას ძრეულ მოესურვა მიებაძნა მოხუცისათვის და განუცხადა, რომ ადარა სურს შინ დაბრუნება და სურს ისიც მასთან მოღვაწეობდეს. წმინდანმა უჩინა დაბრუნებულყოფი შინ, რადგან არ ეგონა, რომ ევგერი მზად იყო ამისთანა მსაგებობისთვის, მაგრამ ის მტკიცეთ ადგა თავის სიტყვას. წმინდანმა მანც უბრძანა დაბრუნებულყოფი შინ უკანასკნელის განკარგულების მოსახლენად და იმის სარწმუნოების გამოსცდებლად და აგრეთვე იმის შესახებ ღვთის ნების განსაგებლად მისცა თავის კვერთხი და უთხრა, გზისზედ იმ კვერთხით გაეზო მდინარე. ევგერემ ასრულა ბრძანება. მდინარემ მისცა იმას გზა. იმან მისცა მთელი თავისი ქონება გლახაკებს და დაბრუნდა მოხუცთან. ეს პირველი მოწაფე იყო ღ. შიოსი. ამას მოყვნენ სხვები. იმის მოწაფეების რიცხვი გამრავლდა. უდაბნოში გაიხმა მამა მღაღალებელთა.



საქართველო

მოღვაწეებს ეკლესიის დასტირდათ და სთხოვეს თავის მოძღვარს ეპისკოპოსს იმითთვის საუდარით. ღირსი შიშ თავის მოწაფეებით დადგა ღოცვად და ეკედრებოდა ღმერთს გამოცხადების იმითთვის თავისი ნება ამ განზრახვის შესახებ. წმიდანმა სტეფანოსის მაგივრად ხელის გულზე დაიკვია საკუთელი. ცენტრმა ხელი არ დასწვა. წმიდანმა გაჭყა საკუთელის კვამლს, სინამ კვამლმა შირ და შირ ცისკენ არ აიწია და ამ ადგილს თავისი კურთხით სამი ეკლესიის ადგილი დასახა. ამ გვარად ტაძარების ადგილი ზეგარდადო იყო ნახევრები.

წმინდა მოღვაწეებს არა და ანდათ შეძლება ეპისკოპოსისათვის ეკლესიები, მაგრამ იქნა და, რომ ღმერთი უჩვენებდა იმით სახსარს. ასეც მოხდა. საქართველოს მამანდელ მეფეს ფარსმანს ძრეულ უყვარდა დიდებული ეკატე და მოახდამა მისი ნახვა. მიბრძანდა უდაბნოში. მეფემ ეკატის მოძღვარიცა ნახა და დადი პატრიარქს იმას: ფარსმანმა მოხუცის წინ მოახდა თავისი სამეფო გვირგვინი და ისე ამოხრს უყო იმას. ღირსმა შიშმა თავის ხელით დაწხურა მეფეს გვირგვინი და აგურთხა. ფარსმანმა აღუთქვა მოხუცს შემწობა და როდესაც გაიგო ეკატისაგან, რომ იმით ჰსურთ ეკლესიები ააშენონ. ალაგიც არის ამისათვის ნახევრები, მაგრამ შეძლება არა აქვთ, თითონ ააშენა ეს ეკლესიები და იმით კურთხევაზედ თითონც დაესწრო. ეკლესიები ქათოლიკოსმა მამამს აგურთხა. ამის შემდეგ წმიდანთა მოწაფეების რისხვამა უფრო იმატა და მოძღვარმა იმით იქვე ახლო სხვა უდაბნო დაუწესა. ღირსმა შიშმაც ესა და სხვა ქვაბი გაიკეთა იმანვე წინამძღვრის ეკლესიის ქვეშ და იქ განაგრძობდა თავის მოღვაწეობას.

ბოლოს წმიდა შიშმა განიზრახა დახმუდიყო მღვიმეში, გამოუსვალავად უფიცილიყო იქ. გამოსთხოვა ამის ნება ღმერთს მოხუცებულ იმანს და აგრეთვე მიიღო კურთხევა ქათოლიკოსისაგან. გამოუცხადა თავისი განზრახვა მოწაფეებს, დაუყენა იმით თავის მაგივრად წინამძღვრად ეკატე და ცენტრალმა დაიძინა თავი სიყვარულისათვის ქრისტესს. მოძღვარს ჰურს და წყაღს მთხრებლის ზირიდან აწვდიდნენ მოწაფეები. ღვაწლმა და მარხულობამ გახსნო, დალია მისი სხეული, გარდა მისი სული გაბრწყინდებოდა და უკვე ჰქონდა სიხლოვეს მაცხოვრისას.

მოვიდა ღირსის შიშს ალხარულის დღე; იმან მიიღო წმ. საიდუმლო და განიხვენა. ანდერძისამებრ ის იმ მღვიმეშივე დაიძინა. ეს მღვიმე საუგუნეში მოხდა. 1617 წელს შაჰ-აბასმა დაარღვია და აიღო შიშ მღვიმელის მონასტერი. წმიდანის გვამი სპარსეთში წააღებინა. შემდეგში წმიდანის ნაწილები ისევ დააბრუნეს საქართველოში და დასვენეს იმავე მონასტერში, სადაც ახლაც

ასვენია. წ. ეკლესიის ღირსი შიშს სსსრკ-ის დღესასწაულად მისის 9 ს და ეველიერის ხუთშაბათს, როდესაც წმიდანის ნაწილს ამოიღებენ ხოლმე თავისის-საცემლად.

მ ო კ ლ ე მ ო კ ო ზ რ ი ბ ა,

თქმული მღვდლის კოსტანტინე ბერიძისაგან კოლოქსის რეგისტრატორის ნესტორ ანჯაფარიძის გვირგვინის კურთხევის შესრულების დროს 10 ნოემბერს, 1885 წელსა.

მე მხელა განგებულებით აღსრულება თქვენზედ იმ დიდი და მძიმე ქრისტიანული მოვალეობისა, რომელსაც საღმრთო სჯული უწოდებს საიდუმლო ქორწინებას.

აღვასრულე რა საიდუმლო ესე ტაძარსა ღვთისასა წინაშე მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესა, მე ვევედრები ღმერთსა, რომ მან მოგანიჭოსთ თქვენ მადლი თვისი და შეძლება, რათა აღსრულოთ მეუღლეობითი მოვალეობა თქვენი სათნოდ ღვთისა, სიწმინდით და სიწოდებით. ზეციერი ბეჭედი, რომელითაც თქვენ ხართ დღეს შეკავშირებულნი, იქმნეს გრძელ ჟამიერ, საწოლი შეუგინებელი, ცხოვრება უბიწო და შევილიერება კეთილი და ეკლესიისა და მამულისათვის სასარგებლო.

ატრთხევა ღვთისა და მშობელთა თქვენთა, რომელთა კეთილ მნებლობითი სურვილით თქვენ დღეს მიიღეთ, იყოს თქვენზედა და ღირს გყოსთ, რათა იწოდებოდეთ ჭეშმარიტ შევილად ღვთისა და შევილად ღირსთა და პატრიარქთა მშობელთა თქვენთა.

სულიერნო შევილნო, ყოველთვის და ყოველგან გახსოვდესთ, რომ ქორწინება არის დიდი საიდუმლო, კავშირი შემავრთებელი ორთა დაშორებულთა პირთა, კავშირი გაუყრელი და განუხრწნელი ამ ქვეყანაზედ; ამისათვის თქვენ უნდა იცხოვროთ ღვთის სიყვარულით, ურთიერთის სიწმინდით, სიყვარულით, კეთილ მოქმედებით, მოთმინებით, სიმშვიდით და აგრეთვე სიყვარულით მოყვისადმი, რომელიც შეიცავს თვით ღვთის სიყვარულსა.

ღაიმარხეთ მცნება ღვთისა, რომელსაც გვეტყვის პავლე მოციქული და რომელიც მოისმინეთ თქვენ თვით საიდუმლო ქორწინებაზე წაკითხულ



სამოციქულოსა შინა: დაემორჩილებით ურთი ერთ არის შიშითა ქრისტესთა, ცოლნი დაემორჩილებით თვისთა ქმართა; ქმართა გიყვარდენ ცოლნი თვისნი, ვითარცა ქრისტესმან შეიყვარა ეკლესია.

ბახსოვდესთ, სულიერნო შეილნო, რომ ბედნიერი და ნეტარი ცხოვრება არ გამოიხატება მართო მდიდრულ ცხოვრებაში. მრავალნი არიან მდიდარი ცოლ-ქმარნი, რომელთაც მწარე ცხოვრება აქვსთ და მრავალნი არიან ღარიბნი, რომელთაც ტკბილი ცხოვრება აქვსთ. შრთი-ერთ შორის თანხმობა, ერთი-ერთმანეთის სიყვარული და ერთი ერთმანეთზე ზრუნვა, მოთმინებით და სულგრძელობით მადება ყოველივე ამა წუთი სოფლის გამოცდილებისა—აი რა ატკბობს ცოლ ქმართა ცხოვრებას, რომელიც ღმერთმან მოგანიჭოსთ თქვენ. ამინ.

მღვდელი კოსტანტინე ბერიძე.

ნ ა რ ე შ ი .

შამილმა გაროზვა თავისი დედა.

როდესაც რუსების მხნე ჯარმა 1843 წელში შეავიწროა ჩაჩნები, მაშინ მათ შამილთან გაგზავნეს მოციქულები მოსახსენებლად, რომ თუ ის მათ შემწეობას არ აღმოუჩენს, ისინი იძულებულ იქნებიან დაემორჩილონ რუსებს. დეპუტაციის წინამძღოლმა ტუპი ვერ გახედა პირ-და-პირ მისუღიყო დალესტნის მბრძანებელთან და მოესხენებინა მისთვის ხალაის თხოვნა და ამიტომ მან მიმართა შემწეობასთვის დალესტნის მბრძანებელის მოჩუქებულ დედას და მასთან მიართო მას უპიროფასესი საჩუქრები. შამილს ძალიან უყვარდა თავის დედა და ხან-დის-ხან მისი თხოვნით ანთავისუფლებდა მათ, რომელთაც სიკვდილით დასჯა ჰქონდათ გარდაწყვეტილი, მაგრამ ამ საქმის შესახებ შამილმა უთხრა დედას, რომ მას არ შეუძლია პასუხი მისცეს დედას იქამამდე, სანამ ღმერთს არ დაეკითხება. შამილმა უბრძანა დეპუტაციას წასულიყვნენ მეჩითში, სა-

დაც ცოტა ხნის შემდეგ მივიდა თითონაც სამი დღე და ღამე შამილი ლოცვილობდა მეჩითში; მას გარს ეხვივნენ სხვა ბევრი მლოცველებიც. ამ სამი დღის და ღამის ლოცვამ შამილი ძალიან შეაწუხა და ის მთლად ყვირთელი და დაქანცული შეიქმნა. ჩაჩნებმა, რომელნიც მოუთმენლად მოელოდნენ შამილისაგან პასუხს, დაინახეს შამილი თუ არა, დაეცნენ მიწაზე და ელოდნენ პასუხს. ცოტა სიჩუმის შემდეგ შამილმა სიტყვა ყველას გასაგონად შემდეგი: «მე ვილოცე სამი დღე და სამი ღამე და გავნდი ღირსი და მივიღე პასუხი წინასწარმეტყველისაგან, რომელიც ბრძანებს: ემოხვედეს ასი შოლტი იმას, რომლისაგან მე პირველად გადმომეცა თხოვნა რუსებისადმი დამორჩილებაზე. ჩე და სამწუხაროდ ეს იყო ჩემი დედა, მაგრამ უნდა იქმნეს აღსრულებული წმიდა ბრძანება წინასწარმეტყველისა! მაშინვე მოხუც დედა-კაცს განადგეს და გააწვინეს მისზე. მეხუთე დავკრის შემდეგ ქალს დაეკარგა გონობა; მაშინ შამილმა დაიხოქა დედის წინაშე, სტიროდა და სთხოვდა მიტევენას და გამოაცხადა, რომ დანარჩენს დაიკრავს თავათ. შამილმა ბრძანა ეცემათ მისთვის შეუბრალებლად; თავმოქონე მბრძანებელმა მოთმინებით დაიკრა დანარჩენი 95 შოლტი. ის მთლად გასისხლიანებული შევიდა ჩაჩნებთან, რომლებიც მეტი შიშისაგან თავის ქეუაზე აღარ იყვნენ, და უთხრა მათ: «წადით იმაებთან, ვინც თქვენ გამოგზავნათ და გარდაეცით ყოველივე, რაც ნახეთ»

ე რ თ ი მ ქ ა დ ა გ ე ბ ე ლ ი .

ამერიკის ერთ მახრის პატარა ქალაქში ერთი მქადაგებელი შემდეგი გასაცხარო სახით გამოეთხოვა თავის სამწყსოს: «საყვარელო შეიღებო! თქვენი მოშორება სამი მიზეზისა გამო ძალიან არც კი მაწუხებს მე: პირველად მე თქვენ არ გიყვარვართ, მეორედ თქვენ არ გიყვარსთ ერთმანეთი და მესამედ ღმერთსაც არ უყვარხართ თქვენ. რომ თქვენ გყვარებოდით მე, მაშინ უსათუოდ მომცემდით მე ორი უკანასკნელი წლის ჯამაგიჩს; რომ თქვენ ერთმანეთი გიყვარდეთ, მაშინ სწორად შემხედებოდით მე ჯვარის საწერები და, ბოლოს, ღმერთს რომ უყვარებოდით თქვენ, მაშინ ის სწორად მიგიწოდებდათ თავისთან და მე სწორ-სწორად შემხედებოდა მიცვალებულების დასაფლავება და წესის აგება.

შინაარსი: ესლანდეელი დროის საცხარო მოკვინება.—იმერეთის ეპარქიის სამღვდელთა დეპუტატთა შეკრებილება.—ჰელაგოგიურ მოსახრებათა გამო.—სენაკის მარხილამ.—წერილი რედაქტორთან.—ღირსი მამა ჩვენის შიო მღვდელი.—მოკლე მოძღვრება.—ნარკვი.

Доз. цензурою Кутаись, 29 Января 1886 г.

Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаись.

რედაქტორი-გამომცემელი მღ. დ. ღამბაშიძე.

მწარავლმეკლავი ზეჯინიძის & ჟურაძის.

ტებს მდიდრული და ფუფუნებითი ცხოვრება არ ჰქადაგეს. დააკვირდით კარგათ ეხლანდელ ცხოვრებას და ხალხს და დარწმუნდებით, რომ მართალს ვამბობთ.

იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების დეპუტატთა შუამდგომლობა ქალაქს შუთაისში 18, 19 და 20 დეკემბერს 1885 წელსა.

იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების დეპუტატებს შეკრებილება ჰქონდათ 18, 19 და 20 წარსულ დეკემბრის თვეში ქალაქს შუთაისში. დეპუტატები, როგორც ეპარქიის მწყემსთ-მთავრის მიწერილობიდან სჩანდა, იყვნენ დაბარებულნი სასულიერო სასწავლებლის საქმის შესახებ და, სხვათა შორის, ემირიტალური კასიის დასაარსებლად, რომლის ახსნას და განმარტებას თვითონ მღვდელთ-მთავარი ჰპირდებოდა კრებაზე სამღვდლოებას. 18 დეკემბერსავე დეპუტატების საკმაო რიცხვი გამოცხადდა კრების გახსნისათვის. დეპუტატები შეიკრიბნენ სასწავლებლის ერთ ოთახში და აირჩიეს თავს-მჯდომარედ მღვდელი მ. ნ. ხუციყვი და საქმის მწარმოებლად მღვდელი შენგელია. კრების თავს-მჯდომარის აირჩიეს შემდეგ შემობრძანდა კრებაში ყოვლად სამღვდლო ბაბრიელი, რომელმაც რამდენიმე სიტყვით განუმარტა სამღვდლოებას ემირიტალური კასის დაარსების მნიშვნელობა, მისცა დეპუტატებს სხვა-და-სხვა დარიგებანი მათი მოვალეობის ასრულების შესახებ და წაბრძანდა შინ. ამის შემდეგ კრებამ აღნიშნა ის კითხვები და წინადადებანი, რომლებზედაც უნდა ჰქონებოდა მსჯელობა. ამ კითხვებში და წინადადებებში პირველი ადგილი ეჭირა შუთაისის სასულიერო სასწავლებლის მომავალი წლის ხარჯთა აღრიცხვის (смета) განხილვას და დამტკიცებას. სანამ მომავლის წლის ხარჯს განიხილავდნენ, სასწავლებლის ზედამხედველმა წაუკითხა და შეატყობინა დეპუტატებს წარსული 1885 წლის სასწავლებელში მოხდენილი ხარჯის ანგარიში.

მომავალ წელში სასწავლებლის შესანახად ბევრად მომეტებული ხარჯი ითხოვებოდა, ვინემ წარსულ წელში. მაგრამ ზოგიერთი ისეთი ხარჯებიც იყო შეტანილი სასწავლებლის ხარჯთა აღრიცხვაში, რომელთაც იქ

სრულებით ადგილი არა ჰქონდათ. ამისთანა ხარჯებს შეადგენდენ, მაგალითებრ, ექვსი მასწავლებლის მესამედი ჯამაგირის ფულით დასაჩუქრება, 1700 მანეთის გაგზავნა თბილისის საქალო ეპარქიალურ სასწავლებელში, სადაც ამ ფულის სარგებლით უნდა იზრდებოდეს ერთი ობოლი ქალი იმერეთის ეპარქიის სასულიერო წოდებათაგანისა.

სასწავლებლის მომავალი წლის ხარჯთა აღრიცხვის (смета) განხილვის დროს აღმოჩნდნენ სასწავლებელში ძველი დროიდან ზოგიერთი ისეთი უსაფუძვლო ხარჯები, რომელთაც იტყობა ძლიერ ადვილად შეეძლოთ სასწავლებლის ზედამხედველებს, მაგრამ, სამწუხაროთ, მათგან ყურადღება არ ყოფილა მიტკეული ამ ხარჯებზე. სხვათა შორის, ამისთანა ხარჯებში დავასახელებთ წყლის ხარჯს სასწავლებელში. ხან-დის-ხან სასწავლებელს წყლის ზიდვა დაჯდომია წელიწადში თითქმის ხუთას მანეთამდე: წყლის საზიდვათ ქირაობდნენ ორ ბიჭს, ყიდულობდნენ ორს სახედარს; ამათ ხარჯს და ჯამაგირს გატეხილი ჩაფების ზარალიც რომ მიუმატოთ, 500 მანეთამდე დამჯდარა ხოლმე წყლის ზიდვა სასწავლებელში. ღღეს ზედამხედველს წყლის ზიდვა თხუთმეტ მანეთად გაუცია თთვეში, რომელიც წლიურად სასწავლებელს 180 მანეთად დაუჯდება. რომ მოხერხება იყოს და წვიმის წყლით სარგებლობდნენ, მაშინ არ გვეჯერა, რომ კიდევ ნაკლებათ არ დაუჯდეს სასწავლებელს წყლის ზიდვა...

სასწავლებლის სამმართველოსაგან შედგენილი სასწავლებლისთვის მომავალი წლის ხარჯთა აღრიცხვა კრებამ მიიღო და დაამტკიცა თითქმის შეუშლელად, რომელიც, ხარჯთა-აღრიცხვა, შეადგენს ცამეტი ათას მანეთს.

ათას შვიდასი მანეთის გაგზავნის თაობაზე თბილისის ეპარქიალურ სასწავლებელში სამღვდლოებას დაადგინა შემდეგი გარდაწყვეტილება: «წინა კრილობაზე იყო გადაწყვეტილი ჩვენგან, რომ ეს ფულები უნდა გაგზავნილიყო სამღვდლოებისაგან შემოსულ ფულთაგან და, თუ ეს აქომამდე არ მოსულა სისრულეში, ეხლა მაინც იქმნეს ეს განჩინება აღსრულებულია. ბევრი ლაპარაკი და ბაასი გამოიწვია სამღვდლოების მხრით ექვსი მასწავლებლის მესამედი ჯამაგირის ფულით დასაჩუქრებამ და აგრეთვე სასწავლებლის ზედამხედველის და მისი თანაშემწის ჯამაგირების მომატებამ. მასწავლებელთ, რომელნიც ნორმალურ კლასებში ინიშნებიან, მმართველობა წინ-და-წინ აძლევს მათ მესამედ ჯამაგირს წინა-პირველ მოსაწყობად და დასაბინაველად. მაგ-

რამ იმ მასწავლებლებს, რომელნიც სამღვდლოების ხარჯით ინიშნებიან პარალელურ და მოსამზადებელ კლასებში, სასულიერო მთავრობა ამ მესამედ ჯამაგირს არ აძლევს მათ და არც იმას განმარტებს, რომ უთუოდ სამღვდლოებამ მისცეს მათ ეს მესამედი ჯამაგირი. როდესაც კრება შეუდგა ამ საგანზე ბაას, დეპუტატებმა სთხოვეს სასწავლებლის ზედამხედველს, მის თანაშემწეს და სხვა კარძო პირებს, რომ ისინი კრების ზალიდამ გარეთ გასულიყვნენ. ძველანი გავიდნენ და დარჩნენ მარტო დეპუტატები, რომლებიც საზოგადოდ წინააღმდეგნი იყვნენ ამ ზემოხსენებული ხარჯების მომატებაზე. მართმა დეპუტატმა მღვ. დ. ლამბაშიძემ ამ ხარჯების მომატების შესახებ სთქვა სიტყვა, რომელიც აქვე მოგვყავს: «1868 წლიდამ, დაწყო მან, თვალ-ყურს ვადევნებ ამ სასწავლებლის ეკონომიურ მდგომარეობას და ძლიერ დაახლოვებით ვიცი ამ სასწავლებელში თითქმის ყველა ნამყოფი ზედამხედველების მოქმედება, მათი მომპირნობითი ნიჭი და ზრუნვა სასწავლებლის კეთილ-მდგომარეობაზე. იუმცა ზედ მიწევნით და დაწვრილებით არ ვიცი კიდევ სასწავლებლის ეს ლანდელი ზედამხედველის მოქმედება, მაგრამ, რამდენათაც შემიტყვია დღემდის, სწორეთ არ შემიძლია არა ესთქვა, რომ იგი ღირსია სამღვდლოების მხრით გულითადი პატივის ცემისა იმ ზრუნვისათვის, რომელსაც იგი სწევს სასწავლებლის და მისი კეთილ-მდგომარეობისათვის. მაგრამ მათი ჯამაგირის მომატებაზე მაინც არ შემიძლია დავთანხმდე. მართალია, რუსეთში იმ სასწავლებლებში, სადაც პარალელური და მოსამზადებელი განყოფილებანი არიან, ზედამხედველებს მომეტებული ჯამაგირი ეძლევათ სამღვდლოებისაგან, მაგრამ ჩვენი მდგომარეობა და რუსეთის სამღვდლოებისა დღესსულ სხვა დასხვაა. ჩვენს სასწავლებელში, მართალია, შაგირდები ბევრია და ყველა კლასებთან არის პარალელური განყოფილებანი, მაგრამ ზედამხედველს და მის თანაშემწეს აქვსთ მინიჭებული იმისთანა ბინები, რომლის მსგავსი მთელს ქავე კასიაში არც ერთ სასწავლებლის ზედამხედველს არ ექნება. ამასთან ისინი თავისუფალნი არიან ექვსი გაკვეთლის მიცემისაგან. მართალია, შაგირდების მომეტებული რიცხვი ითხოვს ნამეტან ყურის-გდებას და კანცელარიაში მომეტებულს საქმის წარმოებას, მაგრამ სამღვდლოება ამისათვის ჰჭირაობს თავის ფულით ორ აღმზრდელთ (надзиратели) და სხვა მწერლებს. სხვა სასწავლებლებში პანსიონში იხდება ას ორმოცდა ათი და ორასი შაგირდი და ჩვენი სასწავლებლის პანსიონში კი მარტოკა ოცდა ათი

კაცი იმყოფება. შოველივე ამას და სხვებსაც რომ მივაქციოთ ყურადღება, მაშინ დავიინახებთ, რომ ჯამაგირის მომატება მიუცილებლად საჭირო არ არის და იმათი მხრითაც ეს საჭიროება ჩვენგან არ იხედება... მართალია, ფულის მიღებაზე უარს კი არავენ იტყვის, მაგრამ საჭიროა, მიხედონ იპერეთის სამღვდლოების მდგომარეობასაც... შემდეგ ლამბაშიძემ განუმარტა კრებას მესამედი ჯამაგირის მიცემის დანიშნულება. «ჯერეთ, დაიწყო მან, არ გამოაცემულა კანონი, რომ მაინცა-და-მაინც სამღვდლოებამ მისცეს მასწავლებლებს ეს მესამედი ჯამაგირი დასაბინაველად. მე ძლიერ მიკვირს, რომ ეს მასწავლებლები ხუთი და ზოგი რვა წელიწადი აქ მსახურებენ, ძრიელ კარგადაც არიან დაბინავებულნი და ეხლა მოიფიქრეს დასაბინავებელი ფულების მიღება. ამ მასწავლებლებს კანონით თორმეტი გაკვეთილისათვის წელიწადში ეძლეოდათ ოთხას ოცი მანეთი, სამღვდლოებამ მათ თვითყელს მოუმატა ოთხმოც-ოთხმოცი მანეთი და ხუთას მანეთად გაუხადა. ნუ თუ ეს დასაფასებელი არ არის მათის მხრით? რუსეთის სასწავლებლებში საერო წოდების შეილები ორი და სამის მეტი არ მოიძიება; ჩვენ სასწავლებლებში კი—აუარებელია. ამ საერო წოდების შეილებისაგან შემოტანილი ფულები სწავლების უფლებისათვის დიდფულს შეადგენს ყოველ წელს. სად მიდის ნამეტანი ნაწილი ამ ფულებისა?... *) ძველა ამას რომ ყურადღება მივაქციოს კაცმა, ამ ხარჯის მიღებას საჭიროთ არ დაინახავს მით უმეტეს, რომ სამღვდლოებას იმ ფულების შემოტანაც ძრიელ უძნელდება, რომელიც ყოველ წელს შემოაქვს». ძრებამ ერთხმად გარდასწყვიტა უარის თქმა ამ ხარჯის მიღებაზე, მხოლოდ სასწავლებლის ზედამხედველს მადლობა გამოუცხადა ერთგული სამსახურისათვის...

დამსწრე.

(დასასრული შემდეგ. №-ში)

*) ყოველ სამ წელში სასწავლებლის ზედამხედველი, მისი თანაშემწე და მასწავლებელნი ათას-ხუთას მანეთამდე საჩუქრად იღებენ საერო წოდების შაგირდებისაგან შემოსულ სასწავლო ფულისაგან. ამ წელში სასწავლებლის ზედამხედველმა, მისმა თანაშემწემ, მასწავლებელთა და ერთმა სასწავლებლის მოსამსახურემ ამ ფულებისაგან მიიღეს საჩუქრად ათას სამასი მანეთი.